

თავი 10 ოცნების მანქანა

ჯონათანი ფიქრობდა, შეძლებდა თუ არა ოდესმე შინ დაბრუნებას და როგორ მოახერხებდა ამას. იგი ბუნებით დაუზარელი და პატიოსანი ადამიანი იყო და ნებისმიერ სამუშაოს დათანხმდებოდა. იქნებ გამართლებოდა კიდევ და გემზე აეყვანათ. კუნძულზე უთუოდ უნდა ყოფილიყო ნავსადგომი და გემები. ფიქრებში გართულმა გამხდარ მამაკაცს ჩაუარა, რომელიც რაღაც ვეებერთელა მანქანას ექაჩებოდა და ცხენიან ოთხთვალაზე მის აზიდვას ცდილობდა. მამაკაცი ლამაზ წითელ კოსტიუმში იყო გამოწყობილი და თავზე ბუმბულგაყრილი პეწიანი ქული ეხურა. მამაკაცმა ჯონათანს მოჰკრა თვალი და შესძახა:

– ჰეი, ყმაწვილო! თუ დამეხმარები ხუთ კეინს გადაგიხდი.

– კეინს? – გაიმეორა დაინტერესებულმა ჯონათანმა.

– ფული, მაყუთი. გაწყობს?

– რასაკვირველია, – დაუყოვნებლივ უპასუხა ჯონათანმა, რადგანაც იმ მომენტში სხვა არჩევანი არ ჰქონდა. თავისთავად ეს გემზე მუშაობას სულაც არ ჰგავდა, მაგრამ მას თავის სარჩენად ფული სჭირდებოდა. თანაც ეს კაცი საკმაოდ შეგნებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა და, შესაძლოა, კარგი რჩევაც მიეცა. ბევრი წვალეების შემდეგ მათ შეძლეს უზარმაზარი მანქანის ოთხთვალაში ჩატენვა. აქოშინებულმა ჯონათანმა ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე ოფლი მოიწმინდა. ახლა მას ჰქონდა საშუალება დაკვირვებოდა მისი შრომის ობიექტს. უზომოდ დიდი მანქანა ლამაზად იყო მოხატული. მის თავზე განიერი საყვირი იყო მოთავსებული. ეს მოწყობილობა მექანიკურ პატეფონს წააგავდა, რომელიც მას სახლშიც ენახა.

– რა საოცარი ფერებია, – თქვა ჯონათანმა, რომელიც გაოცებული შესცქეროდა მანქანის მოხატულობას, – ამას რა დანიშნულება აქვს?

– წინიდან შემოუარე და თავად ნახავ, – უპასუხა კაცმა.

ჯონათანი ოთხთვალაზე აძვრა და ოქროსფერი წარწერა წაიკითხა: „გოლი გომპერის ოცნების მანქანა!“

– ოცნების მანქანა? – გაიმეორა ჯონათანმა, – გინდათ თქვათ, რომ ის ოცნებებს ასრულებს?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა მკაცრი ნაკვეთების მქონე მამაკაცმა და მანქანის უკანა მხრიდან პანელი მოხრახნა. შიგნით ჩვეულებრივი პატეფონის მექანიზმი გამოჩნდა. ხელის მოსამართის მაგივრად მოწყობილობას ზამბარაზე დამაგრებული გასაღები ამუშავებდა.

– ეს ხომ ჩვეულებრივი მუსიკალური ყუთია! – წამოიძახა ჯონათანმა.

– აბა შენ რას ელოდი? ზღაპრულ ფერიას? – უპასუხა კაცმა.

– არ ვიცი. ჩემი აზრით, რაღაც ჯადოსნური უნდა ყოფილიყო. ხომ უნდა იყოს რაღაც განსაკუთრებული, რაც ოცნებას რეალობად აქცევს.

მამაკაცმა ირონიულად გაიღიმა და დაჟინებით შეხედა ჯონათანს.

– სიტყვები და მხოლოდ სიტყვები, ჩემო ცნობისმოყვარე მეგობარო! მხოლოდ რამდენიმე სიტყვა და ნებისმიერი ოცნება სინამდვილედ იქცევა. საქმე ისაა, რომ არ იცი, ვის აუსრულებს შენი ოცნება.

ჯონათანის გაოცებული სახის დანახვაზე მამაკაცმა ჯიბისკენ წაიღო ხელი და ქათქათა თეთრი, პატარა სავიზიტო ბარათი ამოიღო. დუდღუნა ხმით საკუთარი თავი წარადგინა:

– მე ტანსტააფლი ვარ, პ.ტ. ტანსტააფლი, – მან სავიზიტო ბარათს დახედა და მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ შეცდომით სხვა ბარათი ამოეღო, რომელზედაც ეწერა „გ. გომპერი“. მამაკაცმა ჯონათანს ბარათი გამოსტაცა:

– მაპატიე, შვილო, ეს გუშინდელი ბარათია.

მან საფულე გადაქექა და მონახა ოდნავ განსხვავებული ზომისა და ფერის ბარათი, რომელზედაც იმ დღისთვის განკუთვნილი სახელი იყო დაბეჭდილი. შემდეგ

ოქროს ასობიანი პლაკატი ამოიღო და მანქანის ძველ წარწერას ზემოდან გადააკრა. ახლა წარწერა ასე გამოიყურებოდა: „დოქტორი ტანსტააფლის ოცნების მანქანა“.

– ყველას ხომ თავისი ოცნება აქვს, არა? საქმე ის არის, რომ არავინ იცის როგორ აიხდინოს ეს ოცნება, ასე არ არის? დოქტორი ტანსტააფლი თავისი სიტყვების დასტურის ნიშნად გამუდმებით თავს იქნევდა. ჯონათანიც უსიტყვოდ აჰყვა მას.

– ასე რომ, იხდი ფულს, ქოქავ მანქანას და ეს ძველმანი ყუთი იმეორებს გარკვეულ წინასწარმეტყველებას. ეს ერთი და იგივე მიმართვაა, მაგრამ ყოველთვის მოიძებნება უამრავი მეოცნებე, რომელიც სიამოვნებით ისევ და ისევ მოისმენს მას...

– თავის დაქნევით დაადასტურა ტანსტააფლმა. ჯონათანმაც თავი დაუქნია.

– კი მაგრამ, რა წინასწარმეტყველებაზეა ლაპარაკი, მისტერ ტანსტააფლ? – იკითხა ჯონათანმა.

– დოქტორო ტანსტააფლ, თუ შეიძლება! – შეუსწორა მამაკაცმა. – როგორც ვითხარი, ოცნების მანქანა კარნახობს ადამიანს, იფიქროს იმაზე, რაც მას აკლია და რაც უნდა რომ ჰქონდეს... – მამაკაცმა მიიხედ-მოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მათ საუბარს არავინ უსმენდა... – ამის შემდეგ მანქანა მარტივი ფორმით უხსნის მეოცნებეს, თუ რა უნდა გააკეთოს.

– ეს ჰიპნოზია? – იკითხა ჯონათანმა, რომელსაც გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

– არა, არა, არა! მანქანა შთააგონებს ადამიანს, რომ იგი და მისი ოცნებაც ძალზე კარგია... იმდენად კარგია, რომ მას უფლება აქვს მოითხოვოს მისი ასრულება.

– სულ ეს არის? – მოკრძალებულად იკითხა ჯონათანმა.

– დიახაც.

წამიერი დუმილის შემდეგ ჯონათანმა კვლავ იკითხა: – და რას ითხოვენ ეს მეოცნებენი?

მამაკაცმა თუნუქის ქილა ამოიღო და საქმიანად შეუდგა მოწყობილობის დაზეთვას:

– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სად ჩავრთავ მანქანას. უფრო ხშირად მას ქარხნის

წინ ვრთავ ხოლმე, მაგალითად ამ ქარხნის წინ, – თქვა მან და ცერა თითით ქუჩის მეორე მხარეს მდგომ დაბალ, ორსართულიან შენობაზე მიანიშნა. – ზოგჯერ კი

ლორდთა სასახლესთანაც ვრთავ ხოლმე. ის სავსეა ხალხით, რომელთაც ბევრი ფული უნდათ. იცი, ბევრი ფული კარგია, ფასები ხომ მუდმივად იზრდება, ხოლო ხალხს კი მეტი და მეტი უნდა. ასე არ არის?

– ვიცი, ასეა, – დაეთანხმა ჯონათანი, – მერედა უსრულდებათ ოცნებები?

მამაკაცი უკან გადაიწია და ზეთიანი ხელები ჩვრით გაიწმინდა:

– ზოგს ხელად უსრულდება, – თქვა მან და თითები გაატკაცუნა. – ბევრი მეოცნებე მიაწყდა ლორდთა სასახლეს და მოითხოვა ახალი კანონის მიღება, რომლის მიხედვითაც ქარხანა ვალდებული იქნებოდა სამჯერ გაეზარდა მათთვის ანაზღაურება და შეღავათები.

– რა სახის შეღავათები? – იკითხა ჯონათანმა.

– მაგალითად, უსაფრთხოებისთვის. რაც მეტია უსაფრთხოება, მით უკეთესი! ასე რომ, ამ მეოცნებე ხალხმა მოითხოვა მათთვის დაზღვევის ანაზღაურება. დაზღვევა უმუშევრობაზე, ჯანმრთელობაზე, სიკვდილზე. გასაგებია?

– შესანიშნავია! – წამოიძახა ჯონათანმა, – ისინი ალბათ ძალიან ბედნიერები არიან.

ჯონათანი ქარხნისკენ მიბრუნდა და თავისდა გასაკვირად შენიშნა, რომ ქარხანა გაჩერებული იყო. გაცვეთილი საღებავი შენობას უღიმღამო იერს აძლევდა.

ჩამტვრეული და მტვრიანი ფანჯრებიდან სინათლის ნაპერწკალიც არ ჩანდა. ტროტუარი ჩაღვნილი შუშის ნამსხვრევებით იყო მოფენილი.

მამაკაცმა მანქანის პანელი თავის ადგილზე დაამაგრა და ხრახნები მოუჭირა, მერე მანქანის პრიალა ზედაპირი ჩვრით გადაწმინდა, ოთხთვალთან ჩამოსტა და სადავეები შეამოწმა. ჯონათანი მამაკაცს მიუბრუნდა და გაიმეორა:

– მე გკითხეთ, რომ ალბათ ძალიან ბედნიერები არიან... მათ ხომ ამდენი ფული და გარანტიები მიიღეს. ბედნიერები და მადლიერები... დაგაჯილდოვეს ან სუფრა მაინც გაგიშალეს ამის აღსანიშნავად?

– არაფერიც, – მოკლედ უპასუხა ტანსტააფლმა, – პირიქით, კინაღამ გამპუტეს და მანქანაც ლამის დამიღვეწეს. გუშინ ღამე ქვები და აგურები დაუშინეს, ყველაფერს ესროდნენ, რაც კი ხელთ მოხვდათ. როგორც ხედავ, ქარხანა დაიხურა და მუშები ამაში მე მადანაშაულებენ.

– რატომ დაიხურა?

– როგორც ჩანს, ქარხანას არ აქვს საკმარისი შემოსავალი, რათა აუნაზღაუროს მუშებს მომატებული ხელფასები და შეღავათები. ახლა ამ მუშებს მოუწევთ სხვა ხელობის ათვისება და ახალი სამსახურის მოძებნა.

– გამოდის რომ მათი ოცნებები არ ასრულდა. რადგან ქარხანა დაიხურა, არავინ მიიღებს ანაზღაურებასა და შეღავათს. არავინ არაფერს მიიღებს! ესე იგი უბრალოდ თაღლითი ბრძანდებით. თქვენ არ თქვით, რომ ეს ოცნების მანქანა...

– აი მანდ გაჩერდი, ყმაწვილო! ოცნებები ასრულდა. როგორც გითხარი, არასოდეს არ იცი, ვის აუსრულდება შენი ჩაფიქრებული. როგორც წესი, როდესაც კორუმპოს კუნძულზე ძველი ქარხანა იხურება, მაშინ სრულდება ვიდაცის ოცნება კუნძულ ნაიზე, სადაც ახლახან, ახალი ქარხანა გაიხსნა. ეს კუნძული აქედან სულ რაღაც ერთი კვირის სავალ მანძილზეა. ახლა იქ უამრავი სამუშაო ადგილი და უსაფრთხოებაა. მე კი, ყველაფრის მიუხედავად, ამ მანქანის მეშვეობით მაინც შევძლებ ფულის გაკეთებას.

სხვა კუნძულის არსებობამ სერიოზულად დააფიქრა ჯონათანი. ნაი შესაძლოა გაცილებით მდიდარი და წარმატებული კუნძული ყოფილიყო.

– სად არის ნაის კუნძული? – იკითხა მან.

– იქით, აღმოსავლეთისკენ. ნაის კუნძულის მოსახლეობას ასეთივე ქარხანა აქვს. როდესაც აქაური ფასები იზრდება, ისინი ნაის კუნძულზე გაცილებით მეტ შეკვეთას ღებულობენ. მათ ესმით, რომ რაც მეტია კლიენტი, მით მეტია მათი ანაზღაურება და დაცულობა. კორუმპოს მუშებს არ შეუძლიათ მომხმარებელს ამდენი მოსთხოვონ. ყველაფერი ფული ღირს. „უფასო ყველი ხომ მხოლოდ სათაგურშია“.

ტანსტააფლმა ჩაიხითხითა და მანქანა ქამრებით დაამაგრა. მან ჯონათანს დახმარებისთვის ფული გადაუხადა, ოთხთვალაში ჩაჯდა და სადავეები აიქნია. ჯონათანმა ფულს დახედა და შეწუხდა, ვინაიდან მიხვდა, რომ მალე ამ ფულს არანაირი ღირებულება არ ექნებოდა. ეს იყო ისეთივე ქაღალდი, როგორიც მას იმ წყვილმა აჩვენა, რომელსაც ფულის წარმოების სახელმწიფო ბიუროსთან წააწყდა.

– დოქტორო ტანსტააფლ, დაიცადეთ!

– დიას?

– სხვა ფულს ვერ გადამიხდით? ანუ ისეთს, რომელიც არ დაკარგავს თავის ღირებულებას?

– ეს ხომ ნაღდი ფულია. უნდა აიღო. როგორ ფიქრობ, არჩევანი რომ მქონდეს ამ ფულით ვისარგებლებდი? მიდი, დროზე დახარჯე! – კაცმა ცხენს დაუყვირა და იქაურობას გაეცალა.